სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
იმერეთის რეგიონის შემსყიდველ ორგანიზაციებს შეხვდა

27 ივნისს, ქ. ქუთაისში, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის შენობაში გაიმართა შეხვედრა იმერეთის რეგიონის შემსყიდველი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. კონკურსების მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ახალ წესსა და პირობებთან დაკავშირებით ოთხი საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ბათუმსა და თბილისში გაიმართა და „*ღია* მმართველობის პარტნიორობის“ (Open government Partnership – *OGP*) ფარგლებში მიმდინარეობდა.

27 ივნისის პრეზენტაცია ქუთაისში იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის აქტიური ჩართულობითა და ორგანიზებით ჩატარდა.

შეხვედრას ესწრებოდნენ იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის მოადგილე იოსებ ხახალეიშვილი, ქუთაისის ვიცე–მერი ნოდარ მიქიაშვილი, ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის, სამტრედიის, ჭიათურის, ბაღდათის, საჩხერის, ზესტაფონის, ტყიბულის, ხარაგაულის, თერჯოლისა და ვანის შემსყიდველი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მოწვეულ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით ვიცე–გუბერნატორმა იოსებ ხახალეიშვილმა მიმართა და მსგავსი შეხვედრების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან რაზმაძემ კი საზოგადოებას გააცნო სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საქართველოს მთავრობისა და სააგენტოს ახალი ინიციატივები. კონკურსების განხორციელების შესახებ პრეზენტაცია სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის მ/შ-მა გიორგი ლაცაბიძემ და ექსპერტ-ანალიტიკოსმა ალექსანდრე ჩხიკვიშვილმა წარმოადგინეს. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის დირექტორმა დავით ჯაიანმა სატესტო რეჟიმში აჩვენა, თუ რა პროცედურების გავლა იქნება საჭირო კონკურსების განხორციელებისას. შეხვედრაში სააგენტოს მხრიდან, ასევე, მონაწილეობდნენ სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე კახა

დემეტრაშვილი, მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი კონსტანტინე გუგეშაშვილი და კომუნიკაციების მენეჯერი ეკა გაბადაძე.

პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა დისკუსია და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა უპასუხეს შემსყიდველი ორგანიზაციების წარმომადგენელთა კითხვებს.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესი და პირობები“ 2015 წლის 1 ივლისიდან შედის ძალაში.